



პროფესორი რამაზ გახოკიძე

CV

დაბადების ადგილი: თბილისი, 1945 წ 17 მაისი
სახლის მისამართი: 380079 თბილისი, ბარნოვის ქ. 82
ტელ.: 22 50 30; (599) 57 00 43
სამსახურის მისამართი: 390028 თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1, ივ. ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოორგანული ქიმიის
კათედრა. ტელ.: 225450; E-mail: rgakhokidze@gmail.com

განათლება და სამეცნიერო ხარისხები:

1960 თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლა.
1962 თბილისის 53-ე საშუალო სკოლა (ოქროს მედლით).
1965 თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი.
1967 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (წარჩინების დიპლომით).
1967-1970 სამეცნიერო სტაჟირება მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ინსტიტუტში
(ქ. სანკტ-პეტერბურგი).
1970 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა.
1970 ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.
1972 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი (საკომპოზიციო
განხრით).
1976 ამერიკის უნივერსიტეტის (ქ. ვაშინგტონი) ინგლისური ენის კურსები.
1976-1977 აშშ (ქ. ჰიუსტონი, ტეხასის შტატი; ქ. ვესტ ლაფაეტი, ინდიანას შტატი)
უნივერსიტეტების დოქტორანტურა.
1984 ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1970-1974 თსუ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის ასისტენტი.
1974-1984 თსუ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი.
1985-1990 თსუ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის პროფესორი.
1983 ჩამოაყალიბა თსუ ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორია. ამავე ლაბორატორიის გამგე.
1990 ჩამოაყალიბა თსუ ბიოორგანული ქიმიის კათედრა. ამავე კათედრის გამგე, პროფესორი.
2007 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოორგანული ქიმიის მიმართულების
სრული პროფესორი.

2012 ჩამოაყალიბა თსუ ბიორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. ამავე ინსტიტუტის დირექტორი

წვლილი მეცნიერებაში:

- დაადგინა ნახშირწყლების მოლეკულური გადაჯგუფებების ახალი ტიპი (გახოკიდის გადაჯგუფება).
- ჩამოაყალიბა ახალი სამეცნიერო დისციპლინის – აგრობიორგანული ქიმიის საბაზო პრინციპები.
- საკუთარი ექსპერიმენტების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება ცოცხალ ორგანიზმებში სუნთქვის ახალი გზის შესაძლებლობის შესახებ, რასაც მოჰყვა შესაბამისი ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური გამოკვლევების სტიმულირება.
- დაამუშავა ცოცხალი უჯრედის მართვის (თვითორგანიზაციის) გზები, რაც ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას იძლევა. მათ საფუძველზე შექმნა ბიორეგულატორების ახალი ტიპი – ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი, რაგოცინი, პოლირამი, ბიოკოლი, ბიონალი, რაგილი, ემატონი, იმუნორაგი, ბიოკარი, ემარაგი, ლუკრეაზინი), რომლებსაც მსოფლიოში ანალოგები არ გააჩნიათ და უზრუნველყოფენ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების პროდუქტიულობისა და მდგრადობის არსებით გაზრდას და გარემოს გაბინძურების შემცირებას.
- შექმნა მაღალეფექტიანი სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები (ვიტარაგი, რამერი, რამსელი).
- შეისწავლა მეცნიერების ფილოსოფიისა და ისტორიის საკითხები.

ამჟამინდელი სამეცნიერო საქმიანობის სფერო:

- ბიორგანული ქიმია.
- ქიმიური ბიოტექნოლოგია (საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის გამოყენება ძვირფასი ქიმიური პრეპარატების მისაღებად).
- ბიოკოორდინაციულ ნაერთთა სინთეზი.
- ნახშირწყლების ქიმიური მოდიფიკაცია.
- ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა.
- ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი თაობის პრეპარატების შექმნა.

შრომები:

600-მდე სამეცნიერო სტატია ქიმიის, ბიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, მეცნიერების ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე, მათ შორის, 10 წიგნი, 7

სახელმძღვანელო (უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისთვის), 1 პრიორიტეტული ცნობა აღმოჩენაზე, 20 გამოგონება, 9 პატენტი, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები.

ატარებს ლექციებს:

1972 წლიდან საქართველოში და საზღვარგარეთ “ზოგადი ქიმია”, “ორგანული ქიმია”, “არაორგანული ქიმია”, “მაღალმოლეკულურ ნაერთთა კვლევის მეთოდები”, “ბუნებრივი პოლიმერების ქიმია”, “ბუნებათსარგებლობის ქიმიურ-ეკოლოგიური საფუძვლები”, “ბიოორგანული ქიმია”, “ეკოქიმია”, “სამკურნალო ნივთიერებათა ქიმია”, “კვების პროდუქტების ქიმია”, “კვების პროდუქტთა ეკოლოგია”, “ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მიღების აგრონომიული საფუძვლები”, “აგრობიოორგანული ქიმია”, “ქიმიური ტოქსიკოლოგია”, “ქიმიური ბიოტექნოლოგია”, “ნახშირწყლების ქიმია”, “ნახშირწყლების მოლეკულური გადაჯგუფებები”, “ბუნებისმეტყველების თანამედროვე კონცეფციები”, “ქიმიის ისტორია”, “ქიმია და ცივილიზაცია”, “ფარმაცევტული ქიმია”, “ფარმაკოგნოზია”, “სასოფლო-სამეურნეო ქიმია”.

სამეცნიერო და სხვა სახის საზოგადოებებში მონაწილეობა:

- 1977 ჟურნალ “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების (ქიმია-ბიოლოგია)” რედაქტორის მოადგილე.
- 1980 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს წევრი.
- 1985 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 1987 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 1987 აშშ ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილი წევრი.
- 1989 იტალიის გარემოს დაცვის სამეცნიერო კომიტეტის წევრი.
- 1990 ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრი.
- 1991 მარტვილის სახალხო აკადემიის პრეზიდენტი.
- 1992 თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (IUPAC) წევრი.
- 1993 ყოველთა ქათველთა მსოფლიო კონგრესის მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
- 1994 საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი.
- 1995 საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
- 1995 აგროტექნოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი.
- 1996 საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.
- 1996 საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

- 1996 საქართველოს საინჟინრო აკადემიის ბიოინჟინერიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.
- 1997 ჟურნალ “ფენომენის” სარედაქციო კოლეგიის წევრი.
- 1997 საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
- 1997 საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
- 1997 მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.
- 1997 საქართველოს შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს საექსპერტო საკონსულტაციო საბჭოს წევრი
- 2003 საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.
- 2006 გაზეთ “ეკოლოგი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.
- 2007 საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის წევრი.
- 2011 ჟურნალ “Agricultural Biotechnology and Sustainable Development“-ის რედკოლეგიის წევრი
- 2011 ჟურნალ “Journal of Biological Physics and Chemistry“-ს რედკოლეგიის წევრი.
- 2015 სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო საბჭოს წევრი.
- 2019 ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი

მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში:

საქართველო (1967, 1970, 1974, 1979, 1980-1982, 1984, 1986-1988, 1994, 1996, 1997-1999, 2000, 2001, 2002-2005), ლატვია (1970), ჩეხეთი (1972, 1989), ლიტვა, აზერბაიჯანი (1979), რუსეთი (1980, 1987), საფრანგეთი (1980), ესტონეთი (1980), იაპონია (1982, 1988, 1990), იტალია (1988, 1990, 1991), გერმანია (1989, 2015), უზბეკეთი (1989), უნგრეთი (1991), აშშ (1990, 1995, 2000), ფინეთი (1990, 2002), ეგვიპტე (2010), მალტა (2014), თურქეთი (2017)

მონაწილეობა პროექტების დამუშავებაში:

- 1989-1991 “ორგანულ ნივთიერებათა ბიოტრანსფორმაცია სატყეო-ეკო სისტემებში” (იტალიის გარემოს დაცვის კომიტეტის პროექტი).
- 1990-1992 “დიდი ქალაქების როლი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში” (იტალიის გარემოს დაცვის კომიტეტის პროექტი).
- 1991 იტალიის მთავრობის თხოვნით გახოკიდის ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით დაფესვიანებული უნიკალური დეკორატიული კულტურის ვერცხლისფერი ნაძვის ნერგებით ქ. რომში გაშენდა ხეივანი.

- 2002-2004 ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე ტექნოლოგიების დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება (მსოფლიო ბანკის პროექტი).
- 2004-2005 ნახშირწყლების წარმოებულების სინთეზი, გარდაქმნები და თვისებები (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
- 2006-2009 ახალი აგრობიოტექნოლოგიური მიდგომა ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მისაღებად (საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

ჯილდოები:

- 1966 სიგელი (სტუდენტთა 28-ე სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისათვის “ნახშირწყლების კონდენსაცია გლიციდმჟავებთან”).
- 1967 სიგელი (სტუდენტთა 29-ე სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისათვის “ნახშირწყლების ბიოკონდენსაცია აცეტილენთან”).
- 1970 I ხარისხის დიპლომი (მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნაწარმოების “უნივერსიტეტის ჰიმნის” შექმნისათვის).
- 1974 სიგელი (ახალგაზრდა ქიმიკოსთა I რესპუბლიკური სემინარის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის).
- 1984 საპატიო სიგელი (გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის).
- 1985 **საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი** (პერსონალური პრემია ნაშრომთა ციკლისთვის “ზრდის ახალი სტიმულატორები, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას”).
- 1986 საპატიო სიგელი (ეკონომიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის).
- 1987 საპატიო სიგელი (შრომით საქმიანობაში განსაკუთრებული წარმატებისათვის).
- 1987 საპატიო სიგელი (სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მიღწეული უმაღლესი შედეგებისათვის).
- 1987 **მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი** (პერსონალური პრემია ნაშრომთა ციკლისთვის “ნახშირწყლების ახალი ტიპის რეაქციები და მათი პრაქტიკული გამოყენების გზები”).
- 1990 **საქართველოს განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი** (პერსონალური პრემია სამეცნიერო ნაშრომის “ნახშირწყლების ტრანსფორმაცია და მცენარეთა ზრდის სტიმულატორების მიღება ხის ნედლეულისაგან” შექმნისათვის).
- 1996 **საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი** (პერსონალური პრემია ნაშრომთა ციკლისთვის “ნახშირწყლების ჟანგვა-აღდგენითი გარდაქმნები”).

- 1999 საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის (ინგლისი, კემბრიჯი) მიერ შეყვანილია “XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა” სიაში.
- 2000 რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელი.
- 2000 საქართველო-ბრიტანეთის მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელი.
- 2000, 2001, 2002 ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ დასახელებული იქნა “წლის ადამიანად”.
- 2001 ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ შეყვანილია “დიდ მოაზროვნეთა” სიაში.
- 2002 საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია გამოცემაში “ათასი დიდი მეცნიერი”.
- 2002 დაჯილდოებულია ამერიკის ღირსების ორდენით.
- 2002 მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.
- 2003 დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.
- 2004 ქ. მარტვილის საპატიო მოქალაქე.
- 2004 საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია “XXI საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა” სიაში.
- 2005 ბანძის საპატიო მოქალაქე.
- 2005 საქართველო-საფრანგეთის მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელი.

პროფ. რ. გაზოკიძის ბიოგრაფიული ცნობები შეტანილია შემდეგ ენციკლოპედიებსა და ცნობარებში:

- საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 1 (1997).
- International Leaders in Achievement (1997).
- The International Who’s Who of Intellectuals (1997).
- Dictionary of International Biography (1997).
- Millennium Time Capsule Commission (1999).
- 1000 World Leaders of Influence (1999.)
- 2000 Outstanding Intellectuals of 20th Century (2000).
- Leading Intellectuals of the World (2000-2001).
- 2000 Outstanding Intellectuals of the 21st Century (2001).
- Who’s Who in 21st Century (2001).
- 500 Leaders of Influence (2001).
- The Contemporary Who’s Who (2002).
- 2000 Outstanding Europeans of the 21th Century (2002).
- International Register of Profiles (2002).
- Worldwide Honours List (2002).
- Living Science, vol.1 (in-depth guide to contemporary scientist and their work) (2002).

- One Thousand Great Scientists (2002).

პირადი ინტერესები:

- ეკოლოგიის პრობლემები.
- მეცნიერების ფილოსოფიისა და ისტორიის საკითხები.
- მუსიკა. შექმნილი აქვს ასამდე ვოკალური, საგუნდო, ინსტრუმენტული და სიმფონიური ნაწარმოებები, მათ შორის: საქართველოს ჰიმნი, უნივერსიტეტის ჰიმნი (გამარჯვებულია კონკურსში), მეცნიერული კულტურის საერთაშორისო ცენტრის (მსოფლიო ლაბორატორიის) ჰიმნი (გამარჯვებულია კონკურსში), სავიოლინო კონცერტი, სიმფონიური სურათი “ოლიმპიური ცეკვა”, რომანსები, რომლებიც სრულდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, სამხრეთ კორეა, ჩეხეთი, რუსეთი და სხვ.) ჰაიდნის, ბეთჰოვენის, ბელინის, ვერდის, როსინის, შოპენის, ბიზეს, გერშვინის, პეტერსონის ნაწარმოებებთან ერთად (იხ. პროგრამები). გამოცემულია კომპაქტ-დისკი უცხოეთში. სიმებიანმა კვარტეტმა (№1) 2000 წელს გაიმარჯვა აშშ-ის ინიციატივით გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც წარმატებით შესრულდა სან-ფრანცისკოში, პრალაში, ლონდონში და სხვაგან.

ენების ცოდნა:

ქართული (მშობლიური), რუსული, ინგლისური.